საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი **21.03.2022.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, კახა თედორაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და ვლადიმერ ნანაძე.

დღის წესრიგის გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ მწუხარება გამოთქვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და მშვიდობა უსურვა უკრაინელ ხალხს და მსოფლიოს.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროქტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

4. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მომართვისა და სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტი, იმის შესახებ, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტან გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელი.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭების შემდეგ სასურველია მერიამ იზრუნოს ბიუსტისა და მემორიალური დაფის დადგმაზე.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის ოქმში აღნიშნულია, რომ დამისამართების არსებული პრაქტიკით ჩიხი იმეორებს ქუჩის სახელწოდებას, ამდენად სახელის გადარქმევის მიზნით ჩიხს უნდა მიენიჭოს ქუჩის სტატუსი. საკრებულოს მიერ თავისუფლების ქუჩის მეორე ჩიხისთვის სტატუსის შეცვლის შემთხვევაში მიეცეს თანხმობა მისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებაზე. შესაბამისად მიზანშეწონილია, საკრებულომ გაითვალისწინოს სამთავრობო კომისიის დასკვნა და თავისუფლების ქუჩის II ჩიხს მიანიჭოს დარეჯან ქინქლაძის ქუჩის სტატუსი.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე

ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე საკრებულოს რეგლამენტშიც შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილებები. კერძოდ, ცვლილება შეეხება პირველი მოადგილის ინსტიტუტის შემოღებას, ასევე, დეტალურად გაიწერა ფრაქციის უფლებამოსილებები, მოხდა ოპოზიციის და უმრავლესობის ცნების ასახვა რეგლამენტში. გარდა ამისა, სამართლებრივად დაემატა საქმისწარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის რეგულაციები. ფინანსური კუთხით ცვლილება შეეხება სადეპუტატო ხარჯს, რომელიც განისაზღვრა 680 ლარით.

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ სადეპუტატო ხარჯი, რომელიც განისაზღვრა 680 ლარით, არასაკმარისია და ასევე საჭიროება მოითხოვს, რომ ყველა დეპუტატს მიეცეს საწვავი 50 ლიტრის ოდენობით.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების განხორციელების შემდეგ აუცილებელია ცვლილებები შევიდეს პრიორიტეტის დოკუმენტშიც, რომელშიც ბევრი უზუსტობაა.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, თავი შეიკავა-1(ჯუმბერ ბლაგიძე).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

გიორგი გოგუაძემ დააყენა წინადადება იმის შესახებ, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თანხა იქნა გამოყოფილი სარეზერვო ფონდიდან უკრაინის დასახმარებლად და კონკრეტულად რაზე იქნა მიმართული აღნიშნული თანხა.

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ მერიის სამსახურები არ ახდენენ რეაგირებას საკრებულოს ფრაქციების მიერ გაგზავნილ შენიშვნებზე და მოითხოვა წერილობითი პასუხების გაცემა ყველა დაყენებულ წინადადებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში მაცხოვრებელ ლია ბლაგიძეს აქვს წყლის პრობლემა და ესაჭიროება წყლის მილი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 21.03.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2022 წლის 21 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროქტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროქტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.03.2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	ია მოქია	10:55	
3	გიორგი ჩახვაძე	[illegible]	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
5	კახა თედორაძე	10 57	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 55	
7	გიორგი გოგუაძე	11 50	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	11 45	